



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმადლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება №11

ჩაქვი

11 დეკემბერი 2019 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁵ მუხლის მე-4 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და 143-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. შეიქმნას სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გივი მგელაძე - საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი;

ბ) ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასკომუნიკაციის ასოცირებული პროფესორი;

გ) თამარ მამეიშვილი - აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), რეგიონული კოორდინატორი, სსიპ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი მოწვეული ლექტორი ;

დ) მანანა შარაშიძე - ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე;

ე) ლევან გობაძე - ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ გამგეობის თავმჯდომარე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა სია თანახმად დანართისა.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს საჯაროდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში და ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

უმადლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს
წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა სია

1. გობაძე ბექან
2. ხახუტაიშვილი არჩილ
3. ზარგინავა ლაშა
4. დიასამიძე თეიმურაზ
5. ქათამიძე ციალა
6. მეგრელიძე ჯემალ
7. აფხაზავა ნათია
8. ზოიძე ირმა
9. ქარცივაძე გია